პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 201 (3178) 15 1966 წ. ოქტომბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## საათი!

◆ **მოსკოვი**, 14 ოქტომბერი. ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთის საბჭოთა მოყვარულები პირველად იხილავენ თავიანთი ნაკრების თამაშს: როგორც ცნობილია, 16 ოქტომბერს ლუჟნიკის სტადიონზე ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირისა და თურქეთის ეროვნული გუნდები. საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით ემზადება ამ თამაშისთვის: იაშინი, პშენიჩნიკოვი, ანდრეიუკი, შესტერნიოვი, ხურცილავა, სოსნიხინი, აფონინი, დანილოვი, საბო, ლენევი, პარკუიანი, ბანიშევსკი, ბიშოვეცი, სტრელცოვი, მატვეევი, ევრიუჟიხინი. მატჩს მოემსახურება პოლონელ მსაჯთა ბრიგადა: ი. პავლიკი, ვ. მაიდანი და მ. სროდეცკი.

◆ *ობერჰაუზენი, 14 ოქტომბერი. მოჭადრაკე ქალთა III მსოფლიო ოლიმპიადის XI ტურში სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდებს შორის სხვაობამ ორ ქულას მიაღწია. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა დღეს საბჭოთა გუნდმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა ავსტრიელები (კოზლოვსკაიამ მოუგო კატცინგერს, ზატულოვსკაიამ კი — აგერს), ხოლო რუმინეთისამ — ინგლისელები — 1,5:0,5. ლიდერს — საბჭოთა ნაკრებს ახლა 19,5 ქულა აქვს. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ბულგარეთი — აშშ 2:0, იუგოსლავია — დანია 2:0, ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია 1:1, გდრ — გფრ 1:0 (1 პარტია გადადებულია), უნგრეთი — პოლონეთი 1:0 (1).*

# მარემოს მამნებამი...

ნოემბერიანის რაიონის (სომხეთი) სამხრეთით მდებარე ფოთლოვანი ტყე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან — ლატვიიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, მოლდავეთიდან, საქართველოდან, პერმიდან ჩამოსული ტურისტების ჟრიამულმა აახმიანა. ბუნების წიაღის მოტრფიალენი აქ შეიკრიბნენ გარემოს გაგნებაში საასპარეზოდ. თვითეული გუნდი შედგებოდა 12 ტურისტისაგან (4-4 ქალი და ვაჟი, 1948-49 წლებში დაბადებული 2-2 გოგონა და ჭაბუკი). სპორტის ეს სახეობა ერთი წელია, რაც გამოეყო ტურიზმს დამოუკიდებელი, ასე ვთქვათ, თავისი სათანრიგო მოთხოვნებით.

ტურისტულ ორიენტირებაში შეჯიბრება მიზნად ისახავს სპორტის ამ ულრესად სასარგებლო სახეობის პროპაგანდას, კარგად მომზადებული გუნდების გამოვლენას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, შეჯიბრების სწორად მოწყობასა და ჩატარებას.

ასპარეზობის პროგრამაში იყო პირად-გუნდური შეჯიბრება მოცემულ მარშრუტზე და ტურისტული ესტაფეტა მოცემულ მარშრუტზე.

პირველი დღის შეჯიბრებაში ყველას აჯობა საქართველოს ქალთა გუნდმა. პირად ჩათვლაში საუკეთესო დრო ჰქონდა ჩვენი გუნდის წარმომადგენელს ქ. ომელიცკაიას, რომელმაც დაისაკუთრა კიდეც პრიზი.

ვაჟთა შორის მასპინძელთა გუნდი II ადგილზე გავიდა, — წინ მხოლოდ მოლდავეთის კოლექტივი „გაუშვ".

ჭაბუკებში წარმატება ხვდა ჯ. ქელეხსაშვილს.

მეორე დღეს გაიმართა შეჯიბრება ტურისტულ ესტაფეტაში.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. მოლდავეთი, 2. სომხეთი, 3. საქართველო.

უნდა აღინიშნოს, რომ მოლდავეთის ტურისტთა გუნდმა ღირსეულად მოიპოვა გარდამავალი თასი, — იგი სამაგალითოდ იყო მომზადებული.

ტურისტულ ორიენტირებაში შეჯიბრება სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ დაინერგა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. საჭიროკია სპორტის ეს სახეობა! მოლაშქრეს იგი ხომ გარემოს გაგნების ცოდნას ულრმავებს, ფიზიკურად აწრთობს, საზრიანობას უვითარებს...

ჩვენში ხშირად უნდა იწყობოდეს ტურისტულ ორიენტირებაში შეჯიბრება საშუალო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საწარმო-დაწესებულებებსა და სპორტსაზოგადოებათა გუნდებს შორის. სისტემად უნდა ვაქციოთ რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებებიც.

**მარინე უთმელიძე,**
**სპორტის ოსტატი.**



# სპარტაკიადის პროგრამით

**სამტრედია** (ჩვენი კორ.). დამთავრდა საქართველოს IV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური პირველობა (დასავლეთის ზონა) კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 20 გუნდი.

დებულების თანახმად, ხუთ ჯგუფად დაყოფილმა კოლექტივებმა პირველობა წრიული სისტემით გაითამაშეს. ჯგუფებში გაიმარჯვეს წულუკიძის, სამტრედიის, ცხაკაიას, წყალტუბოსა და მახარაძის კალათბურთელებმა. პირველი 5 ადგილიც სწორედ ამ კოლექტივებში გათამაშდა. ჯგუფებში მეორე ადგილზე გამოსულნი (ორჯონიკიძე, აბაშა, ლანჩხუთი, მაიაკოვსკი, ამბროლაური) VI-X ადგილებისათვის იბრძოდნენ და ა. შ.

ძირითად ხუთეულში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამტრედიისა და წულუკიძის გუნდების შეხვედრას. გაიმარჯვეს სამტრედიელებმა — 58:47. დანარჩენ ადგილებზე გუნდები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდნენ: წულუკიძე, წყალტუბო, მახარაძე, ცხაკაია, აბაშა.

**ჯ. ვაშაკიძე.**

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სამტრედიისა და წულუკიძის კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. სელივესტროვისა.

## IV ზონა

# გორის „დილა" კარგად თამაშობს

**12 და 13 ოქტომბერს** გაიმართა „ბ" კლასის IV ზონის გუნდების კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. აი, შედეგებიც: „არაქსი" (ერევანი) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 1:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 3:1, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „დინამო" (მახაჩყალა) 0:0, „ტეროკი" (კრიმსკი) — „ტეროკი" (დერბენტი) 3:0, „ტეროკი" (მაიკოპი) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) 1:0, „ურალანი" (ელისტა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 0:2, **„დილა" (გორი) — „ენგური" (ზუგდიდი) 2:0, „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:0.**

ფეხბურთი

**მეხიკო, 13 ოქტომბერი.** „სპორტის II საერთაშორისო კვირეულმა" წყნარი ოკეანის სანაპიროდან მექსიკის დედაქალაქში გადაინაცვლა. აფროსნებს, რომლებიც ზღვისპირა ქალაქ აკაპულკოში ასპარეზობენ, ამინდი არ წყალობს, მაგრამ ისინი მამაცურად ებრძვიან ქარს, წვიმას და... კილომეტრებს.

მეხიკოში კი უკვე ჩატარდა ველოსიპედისტთა პირველი შეჯიბრება — გუნდური რბოლა 60 კილომეტრზე. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა სამთო ტრასების დიდმა სპეციალისტებმა — ესპანელებმა დაისაკუთრეს. მათი დროა 1:11.46. ფინიშთან II იყო მექსიკის გუნდი — 1:12.10, ხოლო III — სსრ კავშირის ნაკრები — 1:12.28.

სენსაციით აღინიშნა ტანმოვარჯიშე ვაჟთა ასპარეზობა. გამარჯვება მოიპოვა პოლონელმა ვ. კუბიცამ (57,10). მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მ. ვორონინი 5 იარაღის შემდეგ საგრძნობლად იყო დაწინაურებული, მაგრამ ძელზე მან მხოლოდ 8,9 ქულა მიიღო და საბოლოო ჯამში III ადგილს დაჯერდა. ს. დიომიდოვი გამარჯვებულს 0,05 ქულით ჩამორჩა და II ადგილზე დარჩა.

სპორტსმენთა გარდა აქ 100-მდე ექიმი და მეცნიერ-მუშაკი ჩამოვიდა. არც ისინი კარგავენ დროს უქმად: დიდი „სამეცნიერო ლაბორატორია" დეტალურად იკვლევს სპორტსმენებზე სიმაღლის გავლენის პრობლემებს. მაგალითად, უნგრელმა სპეციალისტებმა გულდასმით შეისწავლეს ცნობილი სტაიერის, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის ლ. მეჩერის სხეულში მომხდარი ცვლილებები 3 კილომეტრის სიმაღლეზე ერთსაათიანი ვარჯიშის შემდეგ.

მექსიკაში ჩამოსული მეცნიერები კბილებამდე არიან შეიარაღებული თანამედროვე ტექნიკური აპარატურით. რეკორდსმენები ამ მხრივ ჰოლანდიელი ექიმები არიან, რომლებმაც 5 ტონამდე აპარატურა ჩამოიტანეს.

# სტარტზეა სპორტი და... მედიცინა



ვინც ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე თვალყურს ადევნებს ჩვენს რესპუბლიკაში გამართულ ასპარეზობებს ცხენოსნობაში, არ შეიძლება არ შეემჩნია წარმოსადეგი, ჩოხაზე თეთრწვერდაფენილი მოხუცი, რომელიც ამ ბოლო დროს თუ ასპარეზობის მონაწილე არა, უცვლელი მაყურებელი მაინცაა. ეს მოხუცი ზესტაფონელი ალექსანდრე მხეიძე გახლავთ. მიუხედავად თავისი 93 წლისა, იგი ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება და ახალგაზრდებს უბერებლობის შესანიშნავ მაგალითს აჩვენებს. თბილისის იპოდრომზე ამას წინათ გამართულ შოთა რუსთაველის დ ა ბ ა დ ე ბ ი ს 800 წ ლ ი ს თ ა ვ ი ს ა დ მი მიძღვნილ სპორტულ ზეიმში იგი თავის ამხანაგებთან ერთად მონაწილეობდა. მას მხარს უმშვენებდნენ ქართული ხალხური საცხენოსნო სპორტის უხუცესი წარმომადგენლები: სოხუმელები ა. დარასელია და კ. გეჯეჭკორი, სიღნაღელი ფ. მჭედლიშვილი, ცხაკაიელები შ. ალანია, გ. ივანიძე და სხვ.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. მხეიძე.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# რეკორდი გამოთხოვებისას?

**სენ-მორი,** 13 ოქტომბერი. პარიზის მახლობლად მდებარე ამ ქალაქში გაიმართა ცნობილი ფრანგი სტაიერის მიშელ ჟაზის „სპორტის დედოფალთან" გამოსათხოვარი შეჯიბრება, რომელშიც იუბილარმა დიდ წარმატებას მიაღწია. 2000 მეტრზე რბენაში მ. ჟაზიმ აჩვენა 4.56,2 და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. ეს მიშელის მეცხრე მსოფლიო რეკორდია საერთაშორისო სარბიელზე მისი მოღვაწეობის 10 წლის მანძილზე...

მეცხრე და ალბათ უკანასკნელიც, ვინაიდან სპორტსმენს გადაწყვეტილი აქვს თავი დაანებოს სპორტს.

ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ ჟაზის განზრახვა შეიძლება საბოლოო არ აღმოჩნდეს, ვინაიდან 1 ოქტომბერს პრესა უკვე იუწყებოდა სპორტიდან მის წასვლაზე. მაგრამ აი, საფრანგეთის, ინგლისისა და ფინეთის გუნდების მატჩში მან შესანიშნავად მოიგო 5000 მეტრზე რბენა, რაც სპეციალისტებს ჟაზის ბრწყინვალე კარიერის ფინალად მიაჩნდათ.

ახლა კიდევ ახალი მსოფლიო რეკორდი! ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, ჟაზი 30 წლისაა...

# ბერლინს გაემგზავრა გ. კოჩიევიც

**მოსკოვი,** 13 ოქტომბერი (**ტელეფონით, ჩვენი კორ.**). დღეს ბერლინს გაფრინდნენ საბჭოთა ძალოსნები, რომლებიც ისპარეზებენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. გუნდში 10 სპორტსმენია: ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ვახონინი (მჩატე წონა), სსრ კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ე. კაცურა (მსუბუქი წონა), მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. კურენცოვი, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კაპლუნოვი (ორივე — ქვესაშუალო წონა), სსრ კავშირის რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი ვ. ბელიაევი, სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი, თბილისელი გ. კოჩიევი (ორივე — საშუალო წონა), სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი და რეკორდსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. ტალტსი, სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ე. ბროვკო (ორივე — ქვემძიმე წონა), მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ჟაბოტინსკი, სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი, სპორტის ოსტატი ს. ბატიშჩევი (ორივე — მძიმე წონა).

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები არიან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ვორობიოვი და პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი რ. რომანი.

საბჭოთა სპორტსმენების წინაშე იოლი ამოცანა როდი დგას: დაიბრუნონ უძლიერესის სახელი, რომელსაც ისინი 1953 წლიდან ფლობდნენ და პირველად დაკარგეს შარშან, პოლონელებთან ბრძოლაში.

ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ვორობიოვმა გამგზავრების წინ განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ გუნდური პირველობისთვის. პირად ჩათვლაში კი ყველა ჩვენი ათლეტი შეეცდება საპრიზო ადგილის მოპოვებას, თუმცა ყოველ წონით კატეგორიაში ბევრია ძლიერი მეტოქე".

ჩემპიონატი გაიმართება ბერლინში, 15-21 ოქტომბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაიონული...

### მახარაძე

ორ კვირას გაგრძელდა რაიონული სპარტაკიადა. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს „კოლმეურნის", „განთიადის", „სპარტაკის", განათლების განყოფილებისა და ბავშვთა სპორტსკოლის ნაკრებმა გუნდებმა. შეჯიბრების პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ძალოსნობა, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა.

საერთო-გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „კოლმეურნის" ნაკრებმა, II ადგილი დაიკავა „განთიადმა", ხოლო III — განათლების განყოფილებისა და ბავშვთა სპორტსკოლის ნაკრებმა.

**ო. კიშინსკი,**
მახარაძის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

### ჩოხატაური

აქაური რაიონული სპარტაკიადის ასპარეზობანი გაიმართა მძლეოსნობაში, ველოსპორტში, კალათბურთსა და ფრენბურთში. საერთო-გუნდური I ადგილი დაისაკუთრეს განათლების განყოფილების ნორჩმა სპორტსმენებმა, — მათ უკან ჩამოიტოვეს „კოლმეურნისა" და „სპარტაკის" წარმომადგენლები.

**დ. გურგენიძე,**
ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი.

### სოხუმის შეცარნაგზე

რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა აფხაზეთის „კოლმეურნის" პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონების სპორტსმენები. გუნდური I ადგილი დაიკავეს გულრიფშის რაიონის წარმომადგენლებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ (დაწყებული მსუბუქი წონიდან): მ. გაფრინდაშვილი, ვ. აშუბა, გ. კოჩუმიანი, ვ. აგუმავა, ვ. სტეფანია, გ. ჭანტურია.

**შ. ჯალალონია.**

# სარბიელი — მხოლოდ მოასპარეზეთ!

საქართველოს მძლეოსანთა ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდის დასაკომპლექტებლად „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ ჩაატარა პირად-გუნდური შეჯიბრება, რომელშიც მხოლოდ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მაგრამ, ვიდრე ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებზე ვიტყოდეთ რაიმეს, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით მაინც შევეხოთ ტურნირის ორგანიზაციულ მხარეს.

ბოლო წლებში რატომღაც აღარავინ ზრუნავს წესრიგზე სარბენ ბილიკებსა და სახტომ და სატყორცნ სექტორებზე. ხშირია შემთხვევა, როცა მოასპარეზეთა და მსაჯთა გარდა სარბიელზე სეირნობენ შეჯიბრებიდან თავისუფალი სპორტსმენები, მსაჯები, გუნდების წარმომადგენლები და ასე გასინჯეთ, მწვრთნელებიც კი.

ბილიკებსა და სექტორებზე თავშეყრა ისეთი ხალხისა, რომელსაც იმ დროს ასპარეზობასთან არაფერი აქვს საერთო, მძლეოსნობის ისედაც მცირერიცხოვან მაყურებელში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, ვინაიდან მას უჭირს გაარკვიოს ვინაა სპორტსმენი, ვინ—მსაჯი, ვინ — მწვრთნელი და ვინ — წარმომადგენელი...

ყველა სახის ტურნირების ორგანიზატორები ვალდებული არიან იქონიონ სპეციალური ნიშნები პრესის მუშაკებისთვის, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქშიც კი საქალაქო და რესპუბლიკური მასშტაბის ტურნირებზე მსგავსს ვერაფერს ნახავთ. ყოველივე ეს აქვეითებს შეჯიბრების კულტურას, გულს უტეხს სპორტსმენებსა და, განსაკუთრებით, მაყურებელს.

ასე იყო ამჯერადაც. მართალია, „დინამოს" სტადიონის დირექციამ ყველაფერი იღონა სტუდენტთა ტურნირის თვალსაჩინოდ გამართვისთვის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი კაცი ჭამაშიაც ცოდოა: „დინამოს" სტადიონის დირექციას სხვებმა მხარი არ დაუჭირეს.

ოქტომბერში „დინამოს" სტადიონზე მძლეოსანთა კიდევ ბევრი შეჯიბრება გაიმართება და ვისურვებდით, ანალოგიური ამბავი აღარ გამეორდეს. ნუთუ ასე ძნელია ჩვენში ასპარეზობის ისე ჩატარება, რომ მსაჯები თავის ადგილზე იყვნენ, სპორტსმენები — თავისაზე, მწვრთნელებს, წარმომადგენლებსა და პრესის მუშაკებს კი შესაბამისი ადგილი მივუჩინოთ ისე, რომ ისინი ხელს არ უშლიდნენ ტურნირის ნორმალურ მსვლელობას?!

ახლა თვით შეჯიბრების შედეგებზე. იგი ვრცელი პროგრამით ჩატარდა, ოღონდ ეგ იყო, რომ მის ორგანიზატორებს რატომღაც მხედველობიდან გამორჩათ... ათჭიდი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ძირითადად ფიზკულტურის ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივებს შორის გაჩაღდა. ტურნირის დაძაბულობაზე მიუთითებს სამდღიანი ასპარეზობის შედეგებიც. I ჯგუფში უძლიერესმა — ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა 32.221 ქულა მოაგროვა, II პრიზიორმა—უნივერსიტეტის მძლეოსნებმა კი 31.770 ქულა. მათ მხოლოდ 903 ქულით გაუსწრეს III ადგილზე გასულ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს.

II ჯგუფში გაიმარჯვა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა.

დასანანია, რომ პირად შეჯიბრებაში არ იქნა ნაჩვენები სპორტის ოსტატის არც ერთი შედეგი. იქნებ ამ ფაქტზე არაფერი გვეთქვა, რომ მძლეოსნებს I თანრიგის უხვი მოსავალი მაინც მოემკოთ.

იყო შემთხვევები, როცა სტარტზე გამოვიდნენ მძლეოსნები, რომლებიც სხვა სპორტსაზოგადოებებში ითვლებიან. მართალია, ისინი სტუდენტები არიან და თავიანთი კოლექტივის სპორტული ღირსების დაცვის უფლებას მათ არავინ ართმევს, მაგრამ სტუდენტთა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო საკუთარი ათლეტების აღზრდაზეც ხომ უნდა ზრუნავდეს?!

**ო. გელაშვილი.**

* * *

რაც შეეხება ტურნირის ტექნიკურ შედეგებს, დავასახელებთ მხოლოდ გამარჯვებულებს.

**ქალები.** რბენა: 100 მ — გ. კონონენკო (პოლიტექ. ინსტ.) — 12,3; 200 მ — ლ. ლომზევა — 27,0; 800 მ — ნ. ბახტაძე (ორივენი — ფიზკ. ინსტ.) — 2.33,6; 80 მ თარჯრბენი — ნ. გაბეხაძე (უნივ.) — 12,1; ესტაფეტა 4×100 მ — უნივერსიტეტი — 50 წამი; სიმაღლეზე ხტომა — ჯ. ჩუბინიძე (ფიზკ. ინსტ.) — 150 სმ; სიგრძეზე ხტომა — გ. კონონენკო — 575 სმ; ბადროს ტყორცნა — ც. ჯაფარიძე — 38,93; შუბის ტყორცნა — ც. ლიპარტელიანი (ორივენი — სას. სამ. ინსტ.) — 45,43; ბირთვის კვრა — მ. თათარაშვილი (ფიზკ. ინსტ.) — 12,58; ხუთჭიდი — ლ. შუმილანა (უნივ.) — 3.685 ქულა.

**ვაჟები.** რბენა: 100 და 200 მ — ე. კონდრატიევი (პოლიტექ. ინსტ.) — 11,0 და 22,3; 400 მ — ი. პრიმინი (ფიზკ. ინსტ.) — 51,9; 800 და 1500 მ — ი. ლოგუნოვი (უნივ.) — 1.56,8 და 4.06,3; 5000 მ — ა. უროვსკი (პოლიტექ. ინსტ.) — 15.26,2; ესტაფეტა 4×100 მ — პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 45 წამი; 110 მ თარჯრბენი — ს. სიდელნიკოვი (უნივ.) — 15,5; 200 და 400 მ თარჯრბენი — ჯ. სხულუხია — 25,7 და 59,2; 3000 მ წინაღობებით — ლ. ვასილენკო — 10.04,0; 20 კმ სპორტული სიარული — ვ. ლიბერმანი — 51.29,0; სიმაღლეზე ხტომა — ი. აშბა (ყველანი — ფიზკ. ინსტ.) — 190 სმ; სიგრძეზე ხტომა — ი. ჩირიკაშვილი (უნივ.) — 703; სამხტომი — ს. კივა (პოლიტექ. ინსტ.) — 14,58; ჭოკით ხტომა — მ. თათევოსიანი (სას. სამ. ინსტ.) — 380; ბადროს ტყორცნა მ. ოყროშიძე (უნივ.) — 46,78; შუბის ტყორცნა — ი. კოვინკო — 63,28; უროს ტყორცნა — ა. ბაგაური (ორივენი — პოლიტექ. ინსტ.) — 54,20; ბირთვის კვრა — ლ. სონღულაშვილი (სას. სამ. ინსტ.) — 14,12.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

# საღათას ძილში...

თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის განცხადებების დაფა იტყობინებოდა: „10 სექტემბრიდან მუშაობას იწყებენ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, მძლეოსნობის სექციები. მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ სპორტდარბაზში ფუხაევთან 12-დან 17 საათამდე".

გაგვიკვირდა, რომ განცხადებაში ნაჩვენები არ იყო ცურვა, ველოსპორტი, ძალოსნობა, ტანვარჯიში — სპორტის ის სახეობები, რომლებიც მძლეოსნობასთან ერთად საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში შედის ფიზკულტურის კოლექტივებისთვის.

მე-11 საშეფო სკოლის ბავშვებთან ერთად ფიზკულტურის ინსტრუქტორის ძებნა დავიწყეთ, მაგრამ ამაოდ. მის ძებნაში ბავშვებთან გულახდილი საუბარი გაიბა. მიამბეს, რომ 3 საათისთვის ფრენბურთში ვარჯიში ჰქონდათ დანიშნული. ისიც გამოირკვა, რომ 2 კვირაა ისინი აქ მეცადინეობენ და ამ ხნის განმავლობაში არავის არაფერი უსწავლებია. შეფები დახმარებას იმით განსაზღვრავენ, რომ ნორჩებს ბურთს მიუგდებენ — ჰა, ბურთი და მოედანი და რამდენიც გინდათ ითამაშეთო!

ფიზკულტურის ინსტრუქტორი კი მაინც ვერ ვნახეთ.

მეორე დღეს კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს ნ. მირიანაშვილს ვეწვიეთ. საზოგადოებრივ საწყისებზე იგი 30 მძლეოსანს ავარჯიშებს, ერთგვარი წარმატებაც აქვს. საავტომობილო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის სპარტაკიადაში აქაურები პირველები ყოფილან, მაგრამ მაღალი შედეგებით მაინცდამაინც ვერ დაიქადნიან. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ ვარჯიშები კვირაში მხოლოდ ორჯერ ეწყობა, თანაც ბაზები უვარგისია—არ აქვთ სარბენი ბილიკები, სახტომი და სატყორცნი სექტორები კი ბალახს დაუფარავს.

როგორც იყო ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. ფუხაევიც გამოჩნდა. ჩვენი საუბარი, რომლის ძირითად თემას სპარტაკიადისთვის სამზადისი შეადგენდა, ხანმოკლე გამოდგა, ვინაიდან მასპინძელმა მოკლედ მოგვიჭრა: ჩვენთან ცურვის, ტანვარჯიშისა და ველოსპორტის სექციები არ მუშაობენ. მძლეოსნობაზე უკვე გიამბეს. რაც შეეხება ძალოსნობას, 8 ათლეტი ვარჯიშობსო. ისიც დაუმატა: ქარხანაში რამდენიმე მოცურავე გვყავსო, მაგრამ ვერც ერთი დაასახელა.

ცხადია, კოლექტივში, სადაც 1300-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე და აქედან 700-მდე ფიზკულტურელია, სპარტაკიადისათვის სამზადისი არც მოგონებიათ. ასე რომ არ იყოს, თუ პროგრამის ხუთივე სახეობაში არა, რამდენიმეში მაინც იზრუნებდნენ გუნდების გამოყვანისთვის. კოლექტივს მდიდარი შესაძლებლობანი გააჩნია. კარგი სპორტდარბაზი და მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა იმის საშუალებას იძლევა, რომ რეგულარულად მუშაობდნენ ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ძალოსნობის სექციები.

თბილისელ ავტოშემკეთებელთა ფიზკულტურულ კოლექტივში ასეთი მდგომარეობა ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოსადმი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი კონტროლითა და ნაკლები დახმარებითაცაა გამოწვეული.

მართალია, სპარტაკიადამდე წელიწადზე ნაკლები დროა დარჩენილი, მაგრამ თუ გული გულობს, ამ პერიოდშიც შეძლებენ აქ გუნდების შექმნასა და საქალაქო სპარტაკიადაში „სპარტაკის" ინტერესების დაცვას.

**ვ. ბუკია.**

### თერჯოლა

რაიონის განათლების მუშაკების პროფკავშირთა ორგანიზაციამ მასწავლებელ-ფრენბურთელებისათვის დააწესა თასი და ამ ჯილდოს პირველი გათამაშებაც მოაწყო. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თასის პირველი მფლობელი გახდა ადგილობრივი საშუალო სკოლის მასწავლებელთა ნაკრები. გაიმართა მასწავლებელთა შეჯიბრება ჭადრაკშიც. I ადგილი დაიკავა ღვანკითის საშუალო სკოლის გუნდმა.

**ლ. ჯიშიაშვილი.**

## საქართველო — უზბეკეთი

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში 3 დღეს მიმდინარეობდა საქართველოსა და უზბეკეთის ტანმოვარჯიშეთა სამატჩო შეხვედრა. შეჯიბრებაში ოსტატთა ნებისმიერი პროგრამით გამოდიოდნენ ქალთა, ვაჟთა, გოგონებისა და ჭაბუკთა გუნდები.

ქალთა შორის უძლიერესი იყო თბილისელი მ. ჩაჩხიანი, რომელმაც დააგროვა 37,5 ქულა. II და III ადგილებიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს—ც. ჭკადუას და ვ. ადამაშვილს ერგოთ. ვაჟთა შორის ყველას აჯობა ი. ნინოშვილმა — 56,25 ქულა. II ადგილის მფლობელი გახდა სტუმარი გ. პარფიონოვი — 55,95 ქულა. თბილისელი მ. ბოგუსი (55,85) III ადგილზე გავიდა.

ჩვენი რესპუბლიკის გოგონებს რ. ბერიკაშვილს, ნ. ჯარიაშვილს და ე. ბოგოლიუბოვას შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდათ. მათ თანმიმდევრობით გაინაწილეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები. ჭაბუკებში პირველი იყო უზბეკეთის წარმომადგენელი ვ. ატაბაევი (55,35 ქულა). II და III ადგილებზე გავიდნენ გ. ლოლაძე და მისი თანაგუნდელი ა. ჯავრიშვილი.

გუნდური პირველობა, ცხადია, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიგეს.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.

**ტანვარჯიში**

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი...

## შველა ზარიელისაგან ფრიდონისა

** რ. თავარიანი (თბილისი)**

ამოცანა აგებულია „ვეფხისტყაოსნის" შემდეგი სტროფების მიხედვით:

„დავკაზმეთ ნავი, კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა;
კაცი ხმდა, მისთა მჭვრეტთათვის ღონემცა ეაჯა რისა!".

„კვლა სხვასა მივე, მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა
ზღვასა დავანთქი, დავხოცე, ომიმცა რაღა აგესა".




სვლა შავებისაა. შამათი 7 სვლაში.

## იუბილეს მიუძღვნეს

შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში ლაგოდეხში გაიმართა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ფეხბურთელთა ასპარეზობაში 16 კოლექტივი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლაგოდეხის გუნდები — „ვარსკვლავი" და კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკრები. „ვარსკვლავმა" დაამარცხა მეტოქე (4:2) და თასიც მოიპოვა.

ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებაში 6 გუნდი გამოდიოდა. წარმატება წილად ხვდა სოფელ ნინიგორის საშუალო სკოლას კოლექტივს, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. ვაჟთა შორის I ადგილი აიღო ლაგოდეხის „ვარსკვლავმა".

მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა ლაგოდეხელებმა მოიპოვეს.

**ფ. კვირიკაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

ლაგოდეხი.

## ნოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციებას კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ფარიკაობაში** — ს. ბოგვერაძეს (თბილისის „ბურევესტნიკი"), **ცურვაში** — ვ. ანიკინას (თბილისის „დინამო"), **თავისუფალ ჭიდაობაში** — ე. მენთეშაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"), ფ. გაგუას (ბათუმის „დინამო"), **აკრობატიკაში** — ა. მიშლიაევს (ბათუმი, „კოლმეურნე").

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **კრივში** — ვ. უჩანეიშვილს (ფოთის „სპარტაკი"), **ველოსპორტში** — ო. ხარაზოვს (ბოლნისის „დინამო"), თ. გელაძეს (ყაზბეგის „დინამო"), გ. შეველიოვს (ქუთაისის „სპარტაკი"), **ტანვარჯიშში** — გ. ბზიკაძეს (ქუთაისის „ლოკომოტივი"), გ. ლიპარტიანს, გ. ხაჭაპურიძეს (ორივენი — ქუთაისის „დინამო"), **ფარიკაობაში** — ბ. ახვლედიანს, ი. გვენეტაძეს (ორივენი — ქუთაისის „ბურევესტნიკი"), თ. ყოჩიაშვილს (ქუთაისის განათლების განყოფილება), ვ. ბრეხინს (ქუთაისის „განთიადი"), **სამბოში** — შ. ქართველიშვილს (ქუთაისის „სპარტაკი"), გ. ნიპარიშვილს, ჯ. ხორბალაძეს (ორივენი — კასპის „კოლმეურნე"), გ. გიორგაძეს (მცხეთის „კოლმეურნე"), **თავისუფალ ჭიდაობაში** — ა. ასლანიანს, შ. ბერძენიშვილს, რ. ჯელაძეს (სამივენი — ქუთაისის „სპარტაკი"), რ. მელაშვილს (ქობულეთის „კოლმეურნე"), ნ. ხორგუაშვილს (თბილისის „განთიადი"), **კლასიკურ ჭიდაობაში** — გ. ძიმისტარიშვილს (თბილისი, „კოლმეურნე"), ქ. ალხაზოვს (სოხუმი, „კოლმეურნე").

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვლავ „მშრალად" გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა

### ახალი სახელობა ფრთებს შლის

● ობერჰაუზენი, 13 ოქტომბერი. მოჭადრაკე ქალთა III მსოფლიო ოლიმპიადის X ტურში ყურადღების ცენტრში იყო აშშ-ისა და სსრ კავშირის გუნდების შეხვედრა: წინა ტურში ამერიკელებმა ხომ რუმინეთის ძლიერი ნაკრები „იმსხვერპლეს". მაგრამ მაყურებელთა მოლოდინი არ გამართლდა. გაფრინდაშვილმა ადვილად მოუგო გრესერს, ხოლო ზატულოვსკაიამ — ლეინს. ასევე „მშრალი" ანგარიშით დაამარცხეს ამ დღეს რუმინელებმა ავსტრიელები — 2:0. 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები — 17,5 ქულა. 16 ქულით მათ მისდევენ რუმინელები. III ადგილზეა გდრ — 13 (19-დან), IV — იუგოსლავია — 12,5 (19). შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა 3 ტური.

● ბუდაპეშტი, 13 ოქტომბერი. უნგრელ თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში, რომელიც „დოჟას" კლუბმა მოაწყო, 5098 ქულით გაიმარჯვა ბალცომ. II ადგილზე გავიდა მონა — 4910 ქულა, III — ტიორიოკი—4770. მსოფლიოს ჩემპიონმა ბალცომ მოიგო ცურვა — 1054 ქულა (3.45,0), მძლეოსნური კროსი — 1172 ქულა (9.47,0), II იყო ცხენოსნურ კროსში — 1100 ქულა (2.33,5), III — ფარიკაობაში — 926 ქულა (19 გამარჯვება) და IV — სროლაში — 846 ქულა (187). ცხენოსნურ კროსში გაიმარჯვა პალველდიმ — [illegible], ფარიკაობაში — მონამ — 1037 ქულა (22 გამარჯვება), ხოლო სროლაში — სანისლომ — 956 ქულა (192).

● კაუნასი, 13 ოქტომბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობა ბადმინტონში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინისა და მოსკოვის გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს უკრაინელებმა — 7:5. III ადგილზე გავიდა რსფსრ-ს ნაკრები, რომელმაც ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ლენინგრადის წარმომადგენლები.

● რიგა, 13 ოქტომბერი. აქ გაიმართა გდრ-ისა და სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩები. მეტოქეები მანამდე ლენინგრადში შეხვდნენ ერთმანეთს. იქ პირველი თამაში მოიგეს მასპინძლებმა (9:6), ხოლო მეორე — სტუმრებმა (8:7). მსგავსი ამბავი გამეორდა რიგაშიც: ერთი შეხვედრა მოიგეს საბჭოთა ხელბურთელებმა — 8:5, ხოლო მეორე წააგეს — 7:8.

ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### I ჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 29 | 19 | 9 | 1 | 57—12 | 47 |
| ცსკა | 28 | 15 | 7 | 6 | 55—36 | 37 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 29 | 14 | 8 | 7 | 46—28 | 36 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 29 | 14 | 7 | 8 | 46—23 | 35 |
| ასკ (როსტოვი) | 29 | 15 | 5 | 9 | 44—40 | 35 |
| „დინამო" (თბილისი) | 29 | 11 | 10 | 8 | 37—26 | 32 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 28 | 8 | 15 | 5 | 26—24 | 31 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 25 | 11 | 8 | 6 | 35—30 | 30 |
| „დინამო" (მინსკი) | 29 | 10 | 10 | 9 | 32—30 | 30 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 29 | 10 | 9 | 10 | 37—31 | 29 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 28 | 12 | 5 | 11 | 27—30 | 29 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 28 | 10 | 9 | 9 | 24—27 | 29 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 31 | 10 | 7 | 14 | 32—46 | 27 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 29 | 7 | 11 | 11 | 24—32 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 29 | 7 | 10 | 12 | 20—41 | 24 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 7 | 6 | 16 | 34—52 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 30 | 3 | 14 | 13 | 17—37 | 20 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 29 | 7 | 4 | 18 | 24—42 | 18 |
| ასკ (ოდესა) | 29 | 1 | 10 | 18 | 13—43 | 12 |

• • •

13 ოქტომბერს გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივ არმიელთა გუნდი და ტაშკენტის „პახტაკორი". ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა ფედოტოვმა. შესვენების შემდეგ „პახტაკორმა" შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

გუშინ დონეცკში თამაშობდნენ ადგილობრივი „შახტიორი" და „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი). მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

### II ჯგუფი

I ქვეჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 30 | 18 | 6 | 6 | 45—22 | 42 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 30 | 12 | 14 | 4 | 34—14 | 38 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 29 | 12 | 13 | 4 | 44—23 | 37 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 30 | 14 | 9 | 7 | 37—17 | 37 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 30 | 14 | 9 | 7 | 30—20 | 37 |
| „დაუგავა" (რიგა) | 29 | 12 | 8 | 9 | 38—29 | 32 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 30 | 10 | 12 | 8 | 38—36 | 32 |
| „დინამო" (ბათუმი) | 30 | 11 | 8 | 11 | 32—33 | 30 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 30 | 11 | 8 | 11 | 24—30 | 30 |
| „თერგი" (გროზნო) | 30 | 9 | 11 | 10 | 22—27 | 29 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 30 | 10 | 8 | 12 | 30—35 | 28 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 31 | 8 | 10 | 13 | 23—31 | 26 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 28 | 7 | 11 | 10 | 30—35 | 25 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 30 | 8 | 9 | 13 | 20—31 | 25 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 30 | 6 | 12 | 12 | 14—27 | 24 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 31 | 7 | 8 | 16 | 25—47 | 22 |
| „დინამო" (ტალინი) | 30 | 4 | 6 | 20 | 16—45 | 14 |

# მხოლოდ ფრენა!

### მოთხრობა მსოფლიო ჩემპიონზე უმაღლეს პილოტაჟში ვ. მარტემიანოვზე

არც თუ დიდი ხნის წინათ სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ორ მფრინავს ჰაერში შეტაკება მოუხდა სახიფათო ბოროტმოქმედებთან, რომლებიც იარაღის საშუალებით შეეცადნენ თვითმფრინავის ხელში ჩაგდებას. „ან-2" ფოთიდან ბათუმში მიფრინავდა, მის ქიმზე 12 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის, ქალები და ბავშვებიც. ერთ-ერთმა ბანდიტმა ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო და სროლა ატეხა. მფრინავებმა ვლადიმერ შლენოვმა და ვალერიან თომაშვილმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღეს: თომაშვილმა თავბრუდამხვევი ვირაჟების კეთება იწყო და ისეთი „ქანაობა გამართა, რომ შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა ვერ შეძლო მიზანში ამოეღო ვინმე. შლენოვი ვაჟკაცურად ეძგერა ბანდიტს და მგზავრების დახმარებით გათოკა იგი. ასე, მამაცობა და დროული მოქმედება, ახალგაზრდა მფრინავი-კომკავშირელების ფრენის მაღალი ოსტატობა დაეხმარა მათ დანაშაულის აღკვეთაში.

ეს შემთხვევა იმიტომ გამახსენდა, რომ შლენოვი კემეროვოს საავიაციო სპორტკლუბის აღზრდილია, იმ სპორტკლუბისა, სადაც უკვე მრავალი წელია მასწავლებლად და მფრინავ-ინსტრუქტორად მუშაობს ვლადიმერ მარტემიანოვი, უმაღლეს პილოტაჟში ახალი მსოფლიო ჩემპიონი. მას მართლაც შეუძლია იამაყოს თავისი მოწაფით.

მარტემიანოვს კი ბევრი მოწაფე ჰყავს. კემეროვოს საავიაციო სპორტკლუბის მხოლოდ ახალგაზრდა წევრები როდი მეცადინეობენ მასთან. ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მფრინავები სწავლობენ ვლადიმერისგან საფრენ ოსტატობას, მამაცობას, გამარჯვების უნარს. მარტემიანოვი ხომ მსოფლიოს პირველი მფრინავია, ჰაერის მეფე, აბსოლუტური ჩემპიონი!

იგი 30 წლისაა. ბოლო 12 წლის განმავლობაში მეოთხედი მილიონი კილომეტრი დაფარა ჰაერში. მფრინავი-აკრობატისთვის ესეც ბევრია. იგი ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავის შტურვალთან კი არ ზის, არამედ სპორტული აეროპლანის მართვის სახელურთან. და უბრალოდ როდი ზის: ჰაერში ყირაზე გადადის, ბურღივით შეიჭრება ცაში, „რვიანებს" ატრიალებს... ასეთნაირად ფრენა, რასაკვირველია, ბევრს როდი ეხერხება.

ვლადიმერი სულაც არ გავს გოლიათს. იგი საშუალო ტანისაა, ჩინებული აღნაგობა აქვს და რაღაცნაირად მაგონებს ჩემს ძველს მეგობარს ევგენი ოგურენკოვს, საშუალო წონის ექს-ჩემპიონს კრივში. ვლადიმერი კრივით რომ გატაცებულიყო, იმავე წონით კატეგორიაში გამოვიდოდა, მაგრამ სპორტსმენი-მფრინავები, როგორც ცნობილია, წონით კატეგორიებზე არ იყოფიან. რაკი წონაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მარტემიანოვს იგი მუდამ ერთნაირი როდი აქვს. ყოველნაირი „კასრების" და „ნახევარკასრების" შესრულების შემთხვევაში, როცა პილოტი შვიდ და ცხრაჯერად გადატვირთვას იტანს, 500 კილოგრამს იწონის ხოლმე. უდიდესი ძალა მფრინავს დასაჯდომის საზურგეს აკრავს, თვალებში უბნელდება და ყურები ხმაურით ეხშობა. ერთი სიტყვით, ასეთი შეგრძნება არვის შეშურდება. ასეთ ვარჯიშს მფრინავები ტყუილუბრალოდ როდი უწოდებენ „შავ თვალებს".

„წითელი თვალებიც" არსებობს... ესაა უარყოფითი გადატვირთვის დროს, რომელიც, უბრალოდ რომ ვთქვათ, მფრინავს თითქოს ჯიხურიდან აგდებს, ღვედები ღრმად იჭრებიან მხრებში და სხეულზე ლებებს ტოვებენ. მფრინავს სუნთქვა უჭირს, სისხლი პირდაპირ ტვინში აწვება, სახე უწითლდება, დედამიწა კი თითქმის ცხვირწინ გრიგალივით მიქრის. ასე ხდება, მაგალითად, „ვერტიკალზე შებრუნებული კასრის" დროს.

მსოფლიო ჩემპიონატში მარტემიანოვის არტისტული შესრულებით უმაღლესი პილოტაჟის ყველა ვარჯიში ვნახე. ჰაერში ტოლი არ ჰყავდა. მის გამოსვლებს (მან კი 5 საჰაერო ბრძოლა ჩაატარა) აღტაცებით შეჰქეროდნენ არა მარტო სპორტის მოყვარულები, არამედ თვით ჩემპიონატის მონაწილეებიც, რომლებმაც იციან უმაღლესი პილოტაჟის ყადრი.

ყველას განსაკუთრებით დაამახსოვრდა ფანტაზიით სავსე ნებისმიერი პროგრამა, რომელიც ვლადიმერმა ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ბრწყინვალედ ჩაატარა. 25 რთული ფიგურის შესრულებას დაწესებული 10 წუთის ნაცვლად მან 2 წუთით ნაკლები მოანდომა. ასე დიდი სისწრაფით ასრულებდა იგი თავბრუდამხვევ ფრენას (მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თომას კასტანიომ აღიარა, რომ მარტემიანოვი ყველას ბევრად ჯობდა).

მოულოდნელობად, სენსაციად ხომ არ ჩაგვეთვალა წყნარი (მხოლოდ ჰაერში კი არა!) და თავმდაბალი კემეროვოელი მასწავლებლის დიდი გამარჯვება? ვფიქრობ, რომ არა. ბოლო ერთ-ორ წელიწადში მან ბევრად აიმაღლა კლასი, გულდასმით დაამუშავა ყველაზე რთული და შრომატევადი ვარჯიშები. იგი ძალიან ბევრს ვარჯიშობდა, დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობდა, ერთი სიტყვით, საბრძოლველად ემზადებოდა. მარტემიანოვის მეთაურობით საბჭოთა მფრინავებმა ყველა ვარჯიშში I ადგილი დაიკავეს, მოიპოვეს გუნდური პირველობა და ჩემპიონატის მთავარი პრიზი — ნესტეროვის თასი. წარმატება დიდია, რეკორდი კი აბსოლუტური, რომლის მხოლოდ გამეორებაღა შეიძლება....

დიდხანს ემზადებოდა ვლადიმერი ამ ჩემპიონატისთვის? იგი ამბობს, რომ მზადება მთელი 12 წლის განმავლობაში გრძელდება. მან დიდხანს ვერ მიაღწია წარმატებას და, საერთოდ, არც უფიქრია დიდებაზე. უბრალოდ, ცა შეუყვარდა. მაგრამ გართობის მიზნით და მწვავე გრძნობების გამო კი არ აურჩევია მფრინავის ამაყი პროფესია: პილოტ-სპორტსმენს მუდამ შეუძლია მფრინავი-მებრძოლი გახდეს. საბჭოთა კავშირის სამგზის გმირები პოკრიშკინი, კოჟედუბი და ჩვენი ბევრი სხვა გამოჩენილი მფრინავი, მარტემიანოვისა არ იყოს, აეროკლუბებიდან იწყებდა... და აი, როცა დაჭირდათ, საჰაერო შეტაკებებში უჩვენეს ყველას, თუ რა არის უმაღლესი პილოტაჟი!

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი კემეროვოში ცხოვრობს. მის ცოლს ლიუბოვსაც უყვარს ცა. იგიც დაფრინავს და იმ ავიაკლუბში მეცადინეობს, სადაც მისი ქმარი მუშაობს. მარტემიანოვის მეგობრები ამტკიცებენ:

— იგი კიდევ იმიტომაა ნამდვილი მფრინავი-ხელოვანი, რომ ხატვითაა გატაცებული.

მუშაობისა და ფრენისგან თავისუფალ დროს ჩემპიონი ხშირად შეიძლება ნახოთ მოლბერტთან. მას განსაკუთრებით პეიზაჟები, რუსული ბუნება უყვარს.

ტუშინოს აეროდრომზე გავიგონე, თუ როგორ უწოდა მან ჩვენს „იაკებს" შეუდარებელი მარდი „მხედრები". როცა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, საკმაოდ გამოცდილმა და ძლიერმა უნგრელმა მფრინავმა ი. ტოტმა არც თუ ისე კარგად შეასრულა ვარჯიში, ვლადიმერმა თქვა:

— ტოტი, ცხადია, საუკეთესო მფრინავია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი თვითმფრინავია ხარვეზიანი. უნგრელი ჩვენს „იაკში" რომ მჯდარიყო, სულ სხვა იქნებოდა.

— იქნებ, შინ კედლები გვეხმარება?

— აბა, ცაში კედლებს რა უნდა?! იქ ვერც მწვრთნელი გიკარნახებს და ვერც გულშემატკივარი გაგამხნევებს „შაიბის" ძახილით.

ვლადიმერს კითხეს:

— ყველაზე უფრო მეტად ჩემპიონატის რომელი დღე დაგამახსოვრდათ?

— ძნელია ამის თქმა. ყველა დღე ცხარე იყო, მოწინაალმდეგე კი — მრისხანე, — განსაკუთრებით ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, უნგრეთისა და ესპანეთის მფრინავები. მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი მეგობრების ვ. ოვსიანკინისა და ვ. პისკუნოვის შიში მქონდა. მადლობელი ვარ მათი. ის ოხრები სულ კვალდაკვალ მომსდევდნენ. ამან მთელი ძალ-ღონე მომაკრეფინა, და გამარჯვებაში დამეხმარა. მთელმა გუნდმა კი ნესტეროვის თასი მოვიპოვეთ.

— რა არის საჭირო, რომ მფრინავი გახდე?

— სურვილი.

— კიდევ?

— ტექნიკის საუკეთესო ცოდნა, კარგი ჯანმრთელობა, ფიზიკური წრთობა. უნდა გიყვარდეს სპორტი, ცა, წყალი, მზე.

— თქვენი მომავალი გეგმები?

— ფრენა!

**ნ. ჩაიკა.**



იპოდრომის დილა.

ფოტოეტიუდი ბ. ქვათაძისა.

განვლილ მატჩში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, რომელიც მოსკოვში შედგა ადგილობრივ „ტორპედოსა“ და მილანის „ინტერნაციონალეს“ შორის, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო იტალიელთა გუნდის ცენტრალურმა მცველმა და კაპიტანმა ა. პიკიმ. ეს გამოცდილი, უმაღლესი კლასის ფეხბურთელი უნაკლოდ ხელმძღვანელობდა „ინტერნაციონალეს“ დაცვას და რომ მოსკოველებმა ვერ შეძლეს ერთხელ მაინც აელოთ მეტოქის კარი, ამაში ძალიან დიდი წვლილი სწორედ პიკის მიუძღვის.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. პიკი ნახტომში იგერიებს ბურთს ტორპედოელთა ერთ-ერთი იერიშისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# ევროპის ქვეყნების...

## თასების მფლობელთა თასზე

**სარაგოსაში** ადგილობრივმა „რეალ სარაგოსამ“ საპასუხო მატჩი მოუგო ოსლოს „სკეიდს“ — 3:1. პირველი თამაში ესპანელებმა წააგეს (2:3), მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით ისინი მერვედფინალში გავიდნენ.

**ბუქარესტში** ადგილობრივი „სტეაუა“ ეთამაშა საფრანგეთის „სტრასბურგს“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. ვინაიდან პირველი შეხვედრა ფრანგებმა მოიგეს (1:0), ისინი განაგრძობენ ბრძოლას თასისთვის.

**ვარშავაში** „ლეგიამ“ ფრედ ითამაშა ლაიპციგის „ჰემისთან“ — 2:2. მერვედფინალში გავიდნენ გერმანელები, ვინაიდან მათ პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ (3:0).

„გურნიკი“ (პოლონეთი). პირველი მატჩი ასეთივე ანგარიშით მოიგეს პოლონელებმა. ამიტომ გუნდები მესამედ ითამაშებენ 26 ოქტომბერს, ბუდაპეშტში.

**მადრიდში** ადგილობრივმა „ატლეტიკომ“ საპასუხო მატჩში დაამარცხა შვეციის „მალმე“ — 3:1. პირველ თამაშშიც ესპანელებმა გაიმარჯვეს (2:0) და მერვედფინალში გავიდნენ.

**ლისაბონში** ადგილობრივ „სპორტინგს“ ძალზე ძნელი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. ბუდაპეშტში დიდი მარცხის (0:5) შემდეგ მას ასევე მაინც უნდა მოეგო „ვაშაშისთვის“. უნგრელები სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ: მათ ამჯერადაც გაიმარჯვეს (2:0).

(საქ. ინფ.).

## ჩემპიონთა თასზე

**პლოეშტში** (რუმინეთი) საპასუხო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „პეტროლული“ და ინგლისის „ლივერპული“ (პირველი თამაში ინგლისელებმა მოიგეს — 2:0).

მატჩი უხეშობით აღინიშნა და მსაჯი ი. ლუკიანოვი (სსრ კავშირი) იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა ერთ-ერთი რუმინელი მცველი, ხოლო ინგლისელთა ცენტრალური თავდამსხმელი სენტ-ჯონი გაეფრთხილებინა. შესვენებამდე „ლივერპულმა“ დაცვაზე გაამახვილა ყურადღება და მაინც მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს: მოლდოვეანუს დარტყმის შემდეგ სტივენსონმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

50-ე წუთზე ჰანტმა გაიტანა საპასუხო გოლი, მაგრამ რუმინელმა დრიდეამ ფინალურ სასტვენამდე ორჯერ აიღო „ლივერპულის“ კარი— 3:1.

ამრიგად, გუნდები მომავალ ოთხშაბათს მესამე, დამატებით მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს ნეიტრალურ მინდორზე, ბრიუსელში.

**გდრ-ის** „ფორვერტსმა“ შინ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ზაბჟეს

# წილისყრა შედგა

ფლორენციაში შედგა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მერვედფინალური მატჩების წილისყრა.

აი, როგორ დაწყვილდნენ საპატიო ჯილდოსთვის მებრძოლი გუნდები:
„სპარტაკი“ (სსრკ) — „რაპიდი“ (ავსტრია),
„სტრასბურგი“ (საფრანგეთი) — „სლავია“ (ბულგარეთი),
„სერვეტი“ (შვეიცარია) — „სპარტა“ (ჰოლანდია),
„რეალ სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ევერტონი“ (ინგლისი),
„სპორტინგი“ (ლისაბონი) — „ჰემი“ (გდრ),
„დიერი“ (უნგრეთი) — „სტანდარდი“ (ბელგია),
„შემროკ როვერზი“ (ირლანდია) — „ბავარია“ (გფრ),
„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „ბორუსია“ (გფრ).

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერვედფინალური წყვილები კი ასე გამოიყურება:
„ინტერნაციონალე“ (იტალია) — „ვაშაში“ (უნგრეთი),
„ატლეტიკო“ (ესპანეთი) — „ვოივოდინა“ (იუგოსლავია),
„ნანტი“ (საფრანგეთი) — „სელტიკი“ (შოტლანდია),
„მიუნჰენ 1860“ (გფრ) — „რეალ მადრიდი“ (ესპანეთი),
„აიაქსი“ (ჰოლანდია) — ინგლისის „ლივერპულსა“ და რუმინეთის „პეტროლულს“ შორის გამარჯვებული,
„დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია),
„ვალერენგენი“ (ნორვეგია) — „ლინფილდი“ (ჩრდ. ირლანდია),
„ჩერვენო ზნამია“ (ბულგარეთი) — გდრ-ის „ფორვერტსსა“ და პოლონეთის „გურნიკს“ შორის გამარჯვებული.

უეფა-მ დაამტკიცა ორივე ჩემპიონატის ფინალური მატჩების თარიღები. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალი გაიმართება ნიურნბერგში (გფრ) 1967 წლის 31 მაისს, ხოლო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გადამწყვეტი მატჩი — ლისაბონში, გაისად, 25 მაისს.

# პირველი საკონტინენტთაშორისო...

ოთხშაბათს მონტევიდეოს „ესტადიო სენტენარიოს“ სტადიონზე საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „პენიაროლი“ და მადრიდის „რეალი“.

ათასობით გულშემატკივარი სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან დაესწრო ამ მატჩს, რომლისადმი ინტერესი უზომოდ გაზარდა ადგილობრივმა პრესამ. მატჩს უწოდეს „ევროპა — სამხრეთ ამერიკის შერკინება“.

ურუგვაელებმა ძლიერად ითამაშეს. ცენტრალური თავდამსხმელის სპენსერის დარტყმების შემდეგ ბურთი ორჯერ აღმოჩნდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის კარის ბადეში — 2:0.

მატჩი უხეშობით აღინიშნა: ფინალურ სასტვენამდე 20 წუთით ადრე მსაჯმა მინდვრიდან გააძევა მადრიდელთა მარჯვენა მცველი პაჩინი.

26 ოქტომბერს მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე შედგება საპასუხო შეხვედრა.

(საქ. ინფ.).

# რონ კლარკი, ცხენი და სამოყვარულო სტატუსი

თურმე ნუ იტყვით, სპორტში სამოყვარულო სტატუსის გვერდის ავლის ათასგვარი ხერხი არსებობს. საკმარისია მხოლოდ ჩანაფიქრი ზუსტად და დეტალურად აწონ-დაწონოთ.

გამოჩენილ ავსტრალიელ მძლეოსანს რონ კლარკს ამაზე თავი არც უმტვრევია. მის მაგივრად ფიქრობდნენ ისინი, ვისაც აუცილებლად სჭირდებოდა ამ სტატუსის დარღვევა. კლარკი იცნობდა ამ ხალხს და ენდობოდა მათს გამომგონებლურ ნიჭს.

... იფიქრეს, იფიქრეს, ასჯერ გაზომეს და ბოლოს გამოაცხადეს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სტაიერი ახლო მომავალში შეეჯიბრება.... ცხენს. ნუ გაიკვირვებთ! დიახ, ცხენს, რომელიც სულაც არ გახლავთ უბრალო ულაყი. ავსტრალიაში იგი კლარკზე ნაკლები პოპულარობით როდი სარგებლობს. ამ ცხენმა მის პატრონს არა ერთი დიდი პრიზი მოუტანა ეროვნულ და საერთაშორისო ჩემპიონატებში.

მაშ ასე: ერთ მხარეს მოყვარული მძლეოსანი რ. კლარკი, მეორე მხარეს... მოდით და ამტკიცეთ — მოყვარულია თუ პროფესიონალი ეს ულაყი? შეჯიბრების ფორმულაა 12 მილი. ჯერჯერობით დაუდგენელია მხოლოდ სანახაობის ადგილი და მხედრის ვინაობა.

კი მაგრამ, რამ აიძულა სახელგანთქმული მძლეოსანი გადაედგა ასეთი დამამცირებელი ნაბიჯი? აქ არაფერია დასაძრახი, კიჟინებს ავსტრალიის პრესა. კლარკს უბრალოდ სურს თავისი ძალა გამოცადოს ფეხმარდ ცხოველთანო.

ეს ისედაც ცხადია, მაგრამ ხომ არ იმალება რაიმე ამ განზრახვის მიღმა?



რონ კლარკი.

# ნაკრები გუნდების დონეზე

როგორც ცნობილია, 16 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება საერთაშორისო ამხანაგური მატჩი სსრ კავშირისა და თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. გასულ ოთხშაბათს კი თურქებმა ანკარაში, „19 მაისის“ სტადიონზე მიიღეს გფრ-ის ფეხბურთელები. შეხვედრა დამთავრდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის გამარჯვებით — 2:0.

ტელ-ავივში ამ დღეს ამხანაგური მატჩი გამართეს ისრაელისა და იუგოსლავიის ნაკრებმა გუნდებმა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

# უხეშობის წინააღმდეგ...

„უხეშობამ წალეკა შოტლანდიური ფეხბურთი. სეზონი სულ ახლახან დაიწყო და უკვე ასზე მეტმა ფეხბურთელმა მიიღო გაფრთხილება მსაჯისგან, ხოლო ათეულობით მათგანი გაძევებულ იქნა მინდვრიდან“, — წერს შოტლანდიელი ფეხბურთის მიმომხილველი რ. მოფეტი. მართლაც, უხეშობა შოტლანდიის საფეხბურთო მინდვრებზე გახშირდა, მთელმა რიგმა ღონისძიებებმა საქმეს ვერ უშველა, ამიტომ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ახლა სხვა მეთოდი არჩია — წინადადება მისცა შოტლანდიის ყველა პროფესიონალ ფეხბურთელს დაემორჩილოს „პროფესიული ფეხბურთელის მორალურ კოდექსს“, რომლის ტექსტი ასეთია:

1. საშუალება მიეცი არბიტრს, გაუძღვეს თამაშს,
2. ენას კბილები დააჭირე,
3. გქონდეს მეტოქის რიდი. მეტოქესაც უყვარს ფეხბურთი, ზოგიერთი მათგანისთვის კი ეს თამაში ცხოვრების ერთადერთი საშუალებაა,
4. მონდომების 100 პროცენტი, ჩააქსოვე ყოველ მატჩში,
5. გახსოვდეს შენი მოვალეობა, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელისა, საკუთარი კლუბის, მაყურებლისა და საკუთარი თავის მიმართ,
6. მუდამ მზად იყავ როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად, საიმისოდ, რომ მინდორზე შეგეძლოს ყველა შესაძლებლობის ამოწურვა,
7. პატივი ეცი შენს პროფესიას მინდორზეც და მის გარეთაც. შენი კარგი ქცევა სხვისთვის სამაგალითო უნდა იყოს,
8. როგორც პროფესიონალი მოთამაშე, პასუხს აგებ შოტლანდიური ფეხბურთის მომავალზე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1966 წლისთვის შემდეგ სპეციალობაზე:

სწავლების თეორია და მეთოდიკა საიალქნო სპორტში (წარმოებიდან მოწყვეტით)

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი (ნოტარიუსის მიერ შემოწმებული), 2. პირადი აღრიცხვის ბარათი (ფოტოსურათით), 3. დახასიათება ბოლო სამუშაო ადგილიდან, 4. გამოქვეყნებული შრომების სია, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიში, ცნობები გამოგონებათა შესახებ (ის პირნი, რომელთაც არ გააჩნიათ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, წარმოადგენენ სამეცნიერო მოხსენებას (რეფერატს) არჩეული სპეციალობით), 5. მოწმობა — ფორმა № 6 საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების შესახებ იმ პირთათვის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო გამოცდა მთლიანად ან ნაწილობრივ, 6. ცნობა სტაჟის შესახებ, ან ამონაწერი სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს რეკომენდაცია ასპირანტურაში მიღების შესახებ.

**განცხადებები მიიღება ა. წ. 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე.**
**მისაღები გამოცდები ჩატარდება 20 ნოემბრიდან.**

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, ტელ. 2-31-60, 2-24-69.

**ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. **16 ოქტომბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი** (II ჯგუფის I ქვეჯგუფი). **„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი).** დასაწყისი 16 ს. ბილეთები გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 16 ოქტომბერს, 10 საათიდან.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 06037